# [სახელმწიფო მიწების გაყიდვიდან ბიუჯეტში 6 610.3 ათასი ლარი შევიდა]



**ფინანსთა სამინისტრომ 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის იანვარ-ნოემბრის შესრულების ანგარიშგება გამოაქვეყნა, რომლიდანაც ჩანს, რომ საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა სულ 10 678 637.7 ათასი ლარი შეადგინა.**

ამასთან, მიმდინარე წლის 11 თვეში, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებმა **9 499 191.8** ათასი ლარი ანუ წლიური საპროგნოზო მოცულობის (**10 314 248.0** ათასი ლარი) **92.1%** შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ არაწარმოებული აქტივების გაყიდვიდან მიღებულმა შემოსულობებმა **17 378.7** ათასი ლარი ანუ წლიური საპროგნოზო მოცულობის **(4 500.0** ათასი ლარი**) 386.2%** შეადგინა. მათ შორის, მიწის გაყიდვიდან ფაქტიურად მიღებული იქნა **6 610.3** ათასი ლარი, რაც წლიური საპროგნოზო მოცულობის **(3 000.0** ათასი ლარი**) 220.3%**-ია.

> *„იანვარ-ნოემბერში „არაფინანსური აქტივების კლებით" მიღებული შემოსულობების მოცულობამ 90 066.4 ათასი ლარი ანუ საპროგნოზო მოცულობის **(60 000.0** ათასი ლარი**) 150.1%** შეადგინა. მათ შორის: შემოსულობებმა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან **(72 677.6** ათასი ლარი**)** წლიური საპროგნოზო მოცულობის **(55 500.0** ათასი ლარი**) 131%;***

*ხოლო მატერიალური მარაგების გაყიდვიდან* ***10.2*** *ათასი ლარი შეადგინა,“-აღნიშნულია ანგარიშგებაში.*